ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

ლადო ასათიანი როგორც რეპრესირებული პოეტი

ავთანდილ ნიკოლეიშვილი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ქუთაისი, საქართველო
avtandil.nikoleishvili@gmail.com

როგორც საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება ადასტურებს, იმდროინდელ ჩვენს ყოფაში ფართოდ დამკვიდრებულ პოლიტიკურ დევნა-შევიწროებასა და რეპრესიებს თავი ვერც ბევრმა მათგანმა დააღწია. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა ლადო ასათიანიც, რომლის ბიოგრაფიაშიც უმძიმეს ეპიზოდად აღიბეჭდა 1937-38 წლების რეპრესიული მოვლენები. კერძოდ, მას ჯერ დედა დაუპატიმრეს სამშობლოსადმი ღალატის ბრალდებით, შემდეგ კი თავადაც გარიცხეს ინსტიტუტიდან ვითომცდა კონტრრევოლუციონერობის გამო. როგორც წინამდებარე ნარკვევში დამოწმებული საარქივო დოკუმენტებითაც ნათლად ჩანს, პოეტის წინააღმდეგ განხორციელებული ამ რეპრესიის შემოქმედნი არა მარტო ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის იმჟამინდელი მესვეურები იყვნენ, არამედ მისი კოლეგა მწერლებიც. მართალია, აქტიური მცდელობის შემდეგ ლ. ასათიანი სტუდენტის უფლებებში კი აღადგინეს, მაგრამ მის წინააღმდეგ იმხანად დაწყებული ბრძოლა ფაქტობრივად მისი სიცოცხლის ბოლომდეც გაგრძელდა მეტ-ნაკლები მასშტაბებით.

საკვანძო სიტყვები: *ასათიანი, რეპრესია, გარიცხვა, აღდგენა, მტერი.*

როგორც საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ქართველ მწერალთა ცხოვრება და შემოქმედება ადასტურებს, იმდროინდელ ჩვენს ყოფაში ფართოდ დამკვიდრებულ პოლიტიკურ დევნა-შევიწროებასა და რეპრესიებს თავი ვერც ბევრმა მათგანმა დააღწია. სამწუხაროდ, მათ შორის აღმოჩნდა ლადო ასათიანიც (1917-1943 წწ.), რომლის ბიოგრაფიაშიც უმძიმეს ეპიზოდად აღიბეჭდა 1937-38 წლების რეპრესიული მოვლენები.

კერძოდ, მან, ოციოდე წლის ახალგაზრდა კაცმა, ორმაგად იწვნია იმ საშინელებათა სიმწარე, იმხანად რომ დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას; ეს იყო ჯერ დედის დაპატიმრება, შემდეგ კი თავად მისი გარიცხვა ინსტიტუტიდან კონტრრევოლუციონერობისა და მოლაყბეობის ბრალდებით.

ლადო ასათიანის დედა - ლიდა ცქიტიშვილი, რომელიც რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ქუთაისში, მარიამ ყაუხჩიშვილის სკოლაში, 1937 წელს პოლიტიკური ბრალდების საფუძველზე დააპატიმრეს და, როგორც ვითომცდა ხალხის მტერი, სამუდამოდ გადაასახლეს შუა აზიაში. ადვილი წარმოსადგენია, რა მეხთატეხა იქნებოდა ოჯახისათვის ეს ფაქტი. დედის დაკარგვა ხომ თავისთავად უდიდესი ტრაგედიაა, მაგრამ უბედურება ისიც იყო, რომ რეპრესირებულის ოჯახის ყოველი წევრი ამის შემდეგ საზოგადოებისათვის საშიში პიროვნება ხდებოდა და მათი ბედიც ბეწვზე ეკიდა.

მიუხედავად მდგომარეობის ამგვარი სირთულისა, ლადო ასათიანის პოეზიაშიცა და პირად წერილებშიც მძაფრად აისახა დედის გადასახლებით თავსდატეხილი ტრაგედია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ლექსი "დედისადმი", რომლის პირველად დაბეჭდვა მხოლოდ პოეტის გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, გახდა შესაძლებელი. მასში გულისშემძვრელი ფორმითაა გამოხატული შუა აზიის "ურწყულ მხარეში" გადასახლებული მშობლის მონატრებით გამოწვეული ტკივილი.

ლექსში ლადო ასათიანისეული ტემპერამენტითა და პოეტური სიმძაფრით იკვეთება ძალადობისა და უსამართლობის თარეშით დაქცეული და გავერანებული ქვეყნის სურათი. ამ უბედურების შემოქმედნი, პოეტის სიტყვით, "დაუბანელი გლეხის კაცები" იყვნენ, რომლებიც ფეხქვეშ თელავდნენ ყოველივე წმინდასა და ზნეობრივს. ზემოთქმულის საილუსტრაციოდ დედისადმი გაგზავნილი ამ პოეტური ბარათიდან გავიხსენოთ შემდეგი სტრიქონები (ასათიანი 1979):

ჩვენი სახლ-კარი ააწიოკეს
დაუბანელმა გლეხის კაცებმა,
ნეტავ შენსავით ბნელში ვტიროდე,
არ ვუყურებდე ქვეყნის დაქცევას.
ინგრევა შენი ნაამაგარი
და არ გახსენო არ შემიძლია,
აღარ გაჰკივის რთველში მაყარი,
ვენახში თოფებს აღარ ისვრიან.
თონეში ცეცხლი აღარ ტკრციალებს,
მამამ ბეღელი ვალში გაყიდა
და ძველებურად არ მიფრიალებს
შუკაში თეთრი ბაშილაყითა.
ჩვენი მარანი და საწნახელი
უფრო ძლიერმა დაიგირავა,
მამა ბუხართან ზის თავდახრილი,
ცეცხლში აფურთხებს და იგინება.

ასეთია ნგრევისა და გაპარტახების ეს აპოკალიფსური, სულისშემძვრელი სურათი. ქვეყანას თითქოს ზნეობრივი საყრდენი აქვს გამოცლილი და ბოროტების სათარეშო ასპარეზადაა ქცეული. ლექსში გამოხატული ტრაგიკული განწყობილება ერთი ოჯახის უბედურებად კი არ განიცდება, ფართოდ განზოგადებულ მასშტაბებს მოიცავს და მთელი ეპოქის საშინელებად აღიქმება.

დაიქცა ყველა დიდი ჯალაბი,
ნაგაზს ჯაჭვს არვინ არ აღრნევინებს,
წინათ თუ ღვინოს დაგაძალებდნენ,
დღეს წყალსაც არვინ დაგალევინებს.

დანაცრებულან ციხე-კოშკები,
“მრავალჟამიერ” არსად გუგუნებს,
მე კარგად ვიცი, მალე მოვკვდები,
მე ვერ გავუძლებ ამ საუკუნეს.

დედის დაპატიმრების ჟამს ლადო ასათიანი ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. ამ დროს მას უკვე დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი გახმაურებული ლექსი. ახალგაზრდა პოეტს, რომლის სახელიც საკმაოდ პოპულარული გამხდარიყო ლიტერატურულ წრეებში, უკვე გასჩენოდნენ მოშურნენი და მოწინააღმდეგენი. მათ შურსა და ბოღმას კიდევ უფრო აძლიერებდა ლადოს კვიმატი ენა, პირდაპირობა, სიმართლის პირში მთქმელობა და შეუნიღბველობა.

და აი, მის წინააღმდეგ თანდათან იწყება ფარული თუ აშკარად ხილული ბრძოლა, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა. ამ ბრძოლამ დიდი ვნება მოუტანა პოეტს და ბევრჯერ ატკინა გული. ამაზე ნათლად მეტყველებს მისი პირადი წერილები და თანამედროვეთა მოგონებები. ამ ბრძოლის კვალი შემორჩა მაშინდელ პერიოდულ პრესასაც. ამის დასტურად დავიმოწმებ 1937 წლის 16 ივლისს გაზეთ “სტალინელში” დასტამბულ სარედაქციო სტატიას, რომელშიც მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებაში გამართული კრების ანგარიშია მოცემული.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, კრებაზე, სხვა მწერლებთან ერთად, მკაცრად გაუკრიტიკებიათ ლადო ასათიანიც. კერძოდ, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ “ლადო ასათიანის ბოლოდროინდელი ლექსები ერთგვარი პოლიტიკური ჩავარდნით” ხასიათდებოდა და მოუწოდა ახალგაზრდა პოეტს, “დაუყოვნებლივ გამოესწორებინა ეს შეცდომები”. ასევე მკაცრად შეუტია ლადოს გაზეთ “სტალინელის” რედაქტორმა პარმენ შელეგიამაც. მან პოეტს ბრა-

ლი დასდო ყოყოჩობასა და ქედმაღლობაში და აღნიშნა, რომ “თუ მომავალშიც ასეთი ხაზით განაგრძობდა იგი მუშაობას, მისთვის იქნებოდა ცუდი“. თავის სიტყვაში მან კიდევ უფრო მეტად განავრცო მომხსენებლის თვალსაზრისი ლადოს პოლიტიკურ ჩამორჩენილობაზე და ურჩია მას, თავი გაენებებინა “მავნე ლაყბობისთვის”.

მსგავსი ბრალდებები ახალგაზრდა პოეტს თითქმის ყველა გამომსვლელმა წაუყენა. სიტყვა არ თქმულა მის ნიჭიერებასა და შემოქმედებით უნარზე. ყოველი მოკამათე მკაცრად ტუქსავდა ლადოს მავნე ლაყბობისთვის, ქედმაღლობისთვის, ყოყოჩობისთვის, სხვათა გაქილიკებისა და “დისკრედიტიზაციისთვის”. ასეთი იყო მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების მაშინდელი ხელმძღვანელობის, საერთოდ, უფროსი თაობის მწერალთა დამოკიდებულება ლადო ასათიანისადმი. ორატორთა სიტყვები, რომლებშიც დაბეჯითებით ესმებოდა ხაზი “ახალგაზრდა პოეტის “ოლიტიკურ ჩავარდნებსა” და “მავნე ლაყბობას”, ფაქტობრივად, დასმენა იყო ხელისუფლების წინაშე, კაცის გაწირვა, დასაღუპად გამეტება.

აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ყველაფერი მწერალთა იმ საგანგებო კრებაზე მოხდა, რომელზეც საქართველოს კპ (ბ) X ყრილობის შედეგებს განიხილავდნენ და რომელსაც თბილისიდან სპეციალურად მოვლინებული მწერლები: ბესარიონ ჟღენტი და სანდრო ეული-ქურიძე ესწრებოდნენ. ამ კრების ასეთი მაღალი “პრინციპულობით” ჩატარებას დიდად შეუწყო ხელი გაზეთ “ახალგაზრდა კომუნისტში” გაგზავნილმა ანონიმურმა საჩივარმაც, რომელშიც ეწერა, რომ ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციაში “უქნარობის და დოყლაპიობის გამო... მთლიანად ჩაშლილი იყო საქმიანი ლიტერატურული მუშაობა”.

სწორედ ამ მდგომარეობის შესასწავლად იყვნენ თბილისიდან ქუთაისში გაგზავნილი ბ. ჟღენტი და ს. ეული, რომლებიც განსაკუთრებით უკმაყოფილონი დარჩნენ ახალგაზრდა მწერალთა “იდეურ-პოლიტიკური აღზრდით” და ამის თაობაზე მოახსენეს კიდეც საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მათ მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათით (ჯალიაშვილი 1990).

დედის გადასახლებამ სულ მალე ის ნაყოფი გამოიღო, რომ ლ. ასათიანი გარიცხულ იქნა ინსტიტუტიდან. მიზეზი, რის საფუძველზეც ეს ფაქტი მოხდა, შემაძრწუნებელი იყო: კონტრრევოლუციური ლაყბობა. ეს მიზეზი საბჭოური

ისტორიის ყოველ პერიოდში ხომ თავზარდამცემი ბრალდება გახლდათ, მაგრამ 1937-38 წლების რეპრესიების აღზევების ჟამს მას რა შიშის ზაფრაც ეხლებოდა თან, ამას კომენტარი არ სჭირდება. ამ ფაქტის შესახებ თავიანთ მოგონებებსა და წერილებში ბევრს საუბრობენ ლადოს მეგობრები: მიხეილ ალავიძე, გიორგი შალამბერიძე, ნიკა აგიაშვილი, ნელი დუმბაძე, რევაზ მარგიანი, შოთა ქურიძე და სხვები. მათი მონათხრობიდან ნათელი ხდება იმ დღეების სიმწარე, უსამართლოდ რეპრესირებულმა ახალგაზრდა პოეტმა რომ გამოვლო.

ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ კონკრეტულ ამონაწერებს შესაბამისი მასალებიდან.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებათა წიგნში 1938 წლის ათი იანვრით დათარიღებულ [1]6 ბრძანებაში ვკითხულობთ (ბრძანებათა წიგნი 1938):

“სტუდენტ ვლადიმერ ასათიანის გარიცხვა.

კონტრრევოლუციური ლაყბობისათვის, ლექტორების და სტუდენტების დისკრედიტაციისათვის, ნორმალურ სასწავლო მუშაობაში დეზორგანიზაციის შეტანის ცდისათვის ლიტერატურული ფაკულტეტის მეოთხე კურსის ჯგ. [1]54 სტუდენტი ვლადიმერ ასათიანი გაირიცხოს ინსტიტუტიდან. დირექტორი ლუკა ჭელიძე”.

ლ. ასათიანის მეგობარი შოთა ქურიძე ინსტიტუტიდან პოეტის გარცხვასთან დაკავშირებით ლადოსადმი მიძღვნილ წიგნში - “ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო” წერდა: “მე ისიც ვიცი, ვინ ითავა ლადოს “გაფუჭება,” მაგრამ რატომ უნდა უკვდავყოთ მისი სახელი, რატომ უნდა შერჩეს ისტორიას? მე არ მსურს ლადოს მტრები დავასახელო. ისინი მალულად აკეთებდნენ უკეთურ საქმეს და მათი ვინაობა დაე, არქივში დარჩეს” (ქურიძე 1985: 142).

მიუხედავად იმისა, რომ ლადოს რეპრესირებასთან დაკავშირებულ ამ პიროვნებათა სახელები მ. ალავიძესაც ჰქონია გარკვეული, შ. ქურიძის მსგავსად, მათი გაშიფრვისაგან მანაც შეგნებულად შეიკავა თავი და ამასთან დაკავშირებით ასეთი კომენტარი გააკეთა: “მე ვფიქრობ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა (ავტორს მხედველობაში ჰყავს ინსტიტუტის დირექტორი (მაშინ ასე იწოდებოდა) ლუკა ჭელიძე და პარტიული ორგანიზაციის მდივანი აბესალომ ხურციძე) გულისხმიერება ვერ გამოიჩინეს და ამ მხრივ დანაშაული

მიუძღვით. მაგრამ ისინი ლადო ასათიანის პირადი მტრები არ ყოფილან... დაე, არქივის მტრვერში წაიშალოს სახელები იმ პირშავი ადამიანებისა, რომლებმაც გასწირეს ლადო და შეთხზეს მტრული ბრალდებები" (ალავიძე 1988).

მართალია, ინსტიტუტიდან ლადოს გარიცხვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებაში შ. ქურიძეცა და მ. ალავიძეც ჩვენთვის უცნობ კონკრეტულ პიროვნებებს დებენ ბრალს, მაგრამ, როგორც წინამდებარე წერილში დამოწმებული საარქივო დოკუმენტებითაც ნათლად ჩანს, პოეტის წინააღმდეგ განხორციელებული ამ რეპრესიის შემოქმედნი მხოლოდ ეს ადამიანები არ ყოფილან და საამისო საფუძველი, იმხანად არსებული პოლიტიკური და პარტიულ-იდეოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, იმ ადამიანებმაც შექმნეს, რომელთაც არაერთხელ გაუკრიტიკებიათ ლადო, როგორც ანტისაბჭოთა იდეების მქადაგებელი პოეტი.

ლ. ასათიანის გარიცხვასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმო ცნობებს გვაწვდის გიორგი შალამბერიძეც (ასათიანი 1987), რომელიც ლადოსთან ერთად გარიცხეს ქუთაისის პედინსტიტუტიდან. კონტრრევოლუციონერებისა და მოლაყბეების "ტიტულებით" "შემკობილი" ახალგაზრდები ამაოდ დადიოდნენ ინსტანციიდან ინსტანციაში და მათ უბრალო სამუშაოზეც კი არავინ ღებულობდა. სასოწარკვეთილებასა და მატერიალურ უსახსრობაში ჩავარდნილ მეგობრებს, როგორც ხალხის მტრების შვილებს (გიორგი შალამბერიძეს მამა ჰყავდა დაპატიმრებული), ბევრმა შეაქცია ზურგი, მაგრამ ვითარებას სასიკეთო ცვლილება დაეტყო და ინსტიტუტში აღდგენის იმედიც გაჩნდა.

საქმე ის გახლდათ, რომ იანვრის ბოლოს, საკავშირო კომუნისტური პარტიის დადგენილებით, შეწყდა მასობრივი რეპრესიები და დაჭერები, მარტის დასაწყისში კი კომკავშირელთა გარიცხვის დროს დაშვებული შეცდომების თაობაზეც იქნა მიღებული სპეციალური დადგენილება. ამ ფაქტებით იმედმოცემულმა მეგობრებმა კვლავ განაახლეს თხოვნა სტუდენტად აღდგენის თაობაზე, მაგრამ რადგანაც ინსტიტუტის ხელმძღვანელობასთან ვერაფერი გააწყვეს, იძულებული გახდნენ, პარტიის საქალაქო კომიტეტისთვის მიემართათ.

გამუდმებულმა სირბილმა სასურველი ნაყოფი გამოიღო: 1938 წლის 29 მარტს საქალაქო კომიტეტის ბიურომ დააკმაყოფილა ლადო ასათიანისა და გიორგი შალამბერიძის თხოვნა და ისინი აღადგინა სტუდენტის უფლებებში (ასათიანი 1987: 132).

გახარებული მეგობრები მეორე დილითვე ესტუმრნენ ინსტიტუტის დირექტორს, მაგრამ აღდგენის ბრძანების დაწერა, სხვადასხვა ბიუროკრატიულ მიზეზეთა მოშველიებით, მაინც ჭიანურდებოდა. საბოლოოდ საქალაქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილებას წინ ვერაფერი აღუდგა და 1938 წლის 31 მარტს ლადო ინსტიტუტში აღადგინეს შემდეგი ბრძანების საფუძველზე:

“სტუდენტ ასათიანის აღდგენა.

ვლადიმერ მექის ძე ასათიანი აღდგენილ იქნას ლიტერატურული ფაკულტეტის მეოთხე კურსზე მესამე კურსის სავალდებულო საგნების ჩაბარებით პირველ მაისამდე.

დირექტორი ლ. ჭელიძე” (იხ: ბრძანებათა წიგნი 1938).

ეს სასიხარული ამბავი ლადომ თავის უახლოეს მეგობარს - ნიკა აგიაშვილს იმავე დღეს გაგზავნილი ამ წერილით შეატყობინა:

“ძვირფასო ნიკალაშა!

აღმადგინეს, მომეხსნა ყველა ბრალდებები, ხურციძეს (ინსტიტუტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელს _ ა. ნ.) საყვედური მიარტყეს. ჩემი უდანაშაულოდ გარიცხვისათვის დაავალეს დირექტორს ყოველდღიური მზრუნველობა გამოიჩინოს ჩემზე და სხ... მხოლოდ სტიპენდიას არ მაძლევენ, არც განაცდურს და არც აწი... 1938 წ. 31 მარტი” (ასათიანი 1973).

ზემოთ აღნიშნულმა მოვლენებმა სათანადო ასახვა პოვა ლადო ასათიანის შემოქმედებაში. იმ ავბედით დროს, როცა ძმა ძმას ვერ გაუმხელდა საკუთარ მწუხარებას, რეპრესირებული დედის ბედზე საუბაროდ წუხილი, ცხადია, სარისკო საქმე იყო. მაგრამ პოეტის გული დარდსა და ნაღველს ვერ იტევდა და სულიერ სასოწარკვეთას თავისი ლექსებითაც და უახლოესი მეგობრებისთვის გაგზავნილი წერილებითაც გამოხატავდა.

გასაგები მიზეზების გამო, მათი დიდი ნაწილი მხოლოდ ლადოს გარდაცვალების შემდეგ, ცენზურული კონტროლის შესუსტების გამო, გამოქვეყნდა. ვითარების არსში უფრო მეტად გარკვევის მიზნით დავიმოწმებ რამდენიმე მაგალითს პოეტის ლექსებიდან და პირადი წერილებიდან. ფრაგმენტი 1937 წელს დაწერილი ლექსიდან “შენ!”

სიყრმიდან მწვავდა მელანქოლია
და დამცინოდა პირქუში ბედი,
სხვა მეგობარი მე არ მყოლია
ჩემი ალალი ლექსების მეტი.

ინსტიტუტიდან გარიცხვის შემდეგ ლადოს მარტოობის განცდა, ბუნებრივია, კიდევ უფრო მეტად გაუძლიერდა. წუთისოფლის მუხთალ ბილიკზე ეულად მავალმა, თითქოს ცხოვრების მიზანიც დაჰკარგა. ამ ვითარებაში მყოფი პოეტის გულში ხშირად იფეთქებდა მოუსავლეთში გადაკარგული დედის მონატრება. ამ გრძნობას განსაკუთრებით ამძაფრებდა დედისეული ნივთების ხილვა. ძვირფას რელიქვიად ქცეული ეს ნივთები კი ხელის ყოველ გაწვდენაზე ხვდებოდა, სევდიან მოგონებებს აღუძრავდა და კიდევ უფრო აღუგზნებდა დედის მონატრების გრძნობას. ერთადერთი ნათელი სხივი, რომელიც სასწარკვეთილებაში ჩავარდნილ ლადოს გულს სიხარულით უვსებდა, ცხრა მთას იქით გადაკარგული დედისგან გამოგზავნილი ბარათის მოლოდინი იყო. მაგალითად, აი, როგორ ხმას გამოსცემს "დარდით გულგასერილი" პოეტის ტკივილი ლექსში "1938 წელი, 3 თებერვალი" (ასათიანი 1979):

ავდექი დარდით გულგასერილი,
გავაღე ჩემი მაგიდის ყუთი,
ვნახე, ძვირფასო, შენი წერილი...
და გამიბრწყინდა თვალები წუთით.
ვკითხულობ, ვღელავ, ქართლის მთებიდან
გინატრე შვილმა, იტირა ლექსმა,
ამ გაყვითლებულ წერილებიდან
მე შენი გულის ფართქალი მესმა.
ჰაუ რამდენი ცრემლები ვღვარე,
როცა გავყევი წუხილის დემონს,
ნეტავ სადა ხარ, ან რომელ მხარეს,
სულზე უტკბესო დედილო ჩემო?

ზემოთ აღნიშნული მოვლენებით განპირობებულ სულიერ სასოწარკვეთას ლ. ასათიანი უახლოესი მეგობრებისათვის გაგზავნილი პირადი წერილებითაც გამოხატავდა. უმძაფრესი ემოციური თვითგანცდით დაწერილი ამ პოეტური ბარათების კითხვის დროს შინაგანად სულიერი ობლობისა და ადამიანური უმწეობის იმ დიდი ტკივილის გამოძახილსაც შევიგრძნობთ, ნ. ბარათაშვილის ეპისტოლარული მემკვიდრეობის უმთავრეს სულისკვეთებას რომ გამოხატავს. მართალია, ლ. ასათიანის წერილების მხატვრული სრულყოფილება და სააზროვნო მასშტაბები ნ. ბარათაშვილისებური ძალისა ვერ არის, მაგრამ ზემოთ ხაზგასმულ შინაგან კავშირს მაინც უსათუოდ იგრძნობს მკითხველი.

ნათქვამის დასტურად აქ, ვფიქრობ, ნელი დუმბაძისადმი გაგზავნილი წერილების ფრაგმენტების გახსენებაც იქნება საკმარისი. დედის დაპატიმრებისა და ინსტიტუტიდან გარიცხვის შემდეგ დაწერილი ამ წერილების სასოწარ-

მკვეთ განწყობილებას არსებითად განსაზღვრავს გაცნობიერება იმისა, რომ ცხოვრება ულმობელია და უსამართლო. ნაადრევად დაკაცებული და ადამიანებზე გულგატეხილი პოეტი თავის თავს "რიყეზე დარჩენილ თევზს" ადარებს და ჩამქრალი ხმით ამბობს: "რაღაც სიცარიელეს ვგრძნობ, თითქოს რაღაც დავკარგე, თითქოს ოდესღაც შემეძლო ადამიანების სიტყვებით დაელექტრონება და დღეს აღარ შემიძლია... თითქოს ეს გული ამომაგლიჯეს, წაიღეს სადღაც და მერე, გვიან დამიბრუნეს - გაძარცვული და გაკაწრული".

იმავე 1938 წლის 17 იანვარს, ინსტიტუტიდან გარიცხვის მესამე დღეს, დაწერილ წერილში კი პოეტი თავის სულიერ სასოწარკვეთას ამ სიტყვებით გამოხატავს: "ვზივარ ჩემს ოთახში (თუ საკანში)... თამბაქოს ვეწევი... ქალაქში ავლისდარი ნისლი წევს და უნდა გამოგიტყდე - ჩემს სულშიც ნისლია ეხლა... ნაცრისფერი ხეები, ნაცრისფერი ნისლი, ნაცრისფერი მარტოობა. აი, ილუსტრაცია გარემოისა, რომელიც მარტყია ირგვლივ. ჰოდა... ამ ნისლიან გარემოცვაში, კეთილო დაო, მეცხადება აბადონ უფსკრულების შავი ანგელოსი.

მეცხადება და მიკიჟინებს, დასწერე ჰიმნი ხეებისა, ნისლისა, მარტოობისა... დარდისაგან წელმოცელილს გველის მართვეს დარი კლაკვნა დამეჩვია და ვწუხვარ ისე, ვით აქვარიუმში დამწყვდეული თევზი".

ცხოვრების უსამართლობით თავსდატეხილი უბედურების თვითგანცდა ახალგაზრდა პოეტს ისეთ სულიერ პესიმიზმამდე მიჰყავდა, რომ იგი ქვეყნად თავისი გაჩენის დღესაც წყევლიდა, ვინაიდან მისებრი "ურვიანი და მეოცნებე" ადამიანის ადგილი ამ სამყაროში არსად ეგულებოდა. უფრო ადრე კი (1935 წ.) იმავე ნელი დუმბაძისადმი მიძღვნილ ლექსში - "გედის სიმღერა" მსგავსი სულიერი სასოწარკვეთა ასეა გამოხატული:

უკანასკნელად მე ამ ლექსში არ ვიმღერებდი,
შავი მანტია მოგვხვევია, გველო, მე და შენ,
ჯოჯოხეთიდან დამიძახებს მარტვილის ბედი,
რატომ გაუჩნდი, უბედურო, საწყალ დედაშენს.

თავსდატეხილი უბედურებით გამოწვეული დეპრესიული განწყობილებიდან ლ. ასათიანი დიდხანს ვერ გამოვიდა და დედის გადასახლებით გაჩენილი ნაღველი მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუცხრომლად ღვიოდა მის სულში. იყო ამ ტკივილისაგან გაქცევის, მისი შენიღბვის ცდებიც, იწერებოდა ომახიანი და სიცოცხლის ხალისით სავსე ლექსები, მაგრამ ამ ცეცხლოვან და

ცხოვრების მარადიულ დღესასწაულად განცდილი “პოეტური სპექტაკლების” მიღმა, სულის უღრმეს შრეებში, დაუცხრომელ დარდად მუდამ ენთო ბედის უკუღმართობით განაწამები დედის ძვირფასი სახე.

30-იანი წლების შუა ხანები, როცა ლ. ასათიანი სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა, უაღრესად რთული და დრამატული პერიოდი იყო ჩვენი ცხოვრების ყოველ სფეროში. საბედისწეროდ აღზევებული სისხლიანი რეპრესიები თრგუნავდა და იდეოლოგიური დიქტატურის არტახებით ბოჭავდა აზრის სითამამესა და შემოქმედებით თავისუფლებას. უკვე წარსულის კუთვნილებად ქცეულიყო განსხვავებული ესთეტიკური მრწამსის გამომხატველი ლიტერატურული დაჯგუფებანი.

ბუნებრივია, ამ გარემოებამ ლ. ასათიანის პოეტურ შემოქმედებაზეც მოახდინა გარკვეული ზეგავლენა და მასაც მოუხდა გარკვეული ხარკის გაღება ქვეყანაში დამკვიდრებული პარტიულ-იდეოლოგიური დიქტატურისადმი. სწორედ ამითაა განპირობებული დამწყები პოეტის მიერ ეპოქალური სინამდვილის პანეგირიკული განდიდების ის ტენდენციები, რომლებიც შიგადაშიგ ლადოს პოეზიაშიც იჩენდა თავს.

ლ. ასათიანის იმდროინდელი შემოქმედების ცალკეულ ნიმუშთა ამგვარ შეფასებაში გადაჭარბებული რომ არაფერია, ამის დასტურად აქ 1937 წელს (სწორედ იმ საბედისწერო წელს, როცა ათასობით დასჯილ უდანაშაულო ადამიანთა რიცხვს პოეტის დედის სახელიც შეემატა) ხალხური პოეზიის სტილით დაწერილი ის “სიმღერაც” მინდა გავიხსენო, რომელიც მან ბერიას მიუძღვნა (ასათიანი 1937). აი, როგორ პოეტურ გამოვლინებას პოულობს ავტორის მიერ აღვლენილი ხოტბა “გმირულ საქმეთა” შემოქმედი იმ პიროვნებისადმი, ვისაც “პრდაპირობა სჩვევია ამოღებული ხმლისაო, ნათელი გადაფრქვევია დიდი სტალინის მზისაო:”

ნეტა, რა ხელმა გაზარდა,
რა დედამ უთხრა წანაო!
მშრომელთა მოჭირნახულედ
რა ძალამ მოიყვანაო!
ათიათასი გვყოლოდეს
ვაჟკაცი მაგისთანაო!

დღეს ეს “პოეტური სიმღერა,” მართალია, პრინციპულად მიუღებელ და სრულიად პარადოქსულ მოვლენად აღიქმება ლადოს ლირიკული

შედევრების ფონზე, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტი, რომ ამგვარ პარადოქსებს იმდროინდელი ცხოვრებისეული რეალობა ქმნიდა და ამ სამწუხარო რეალობას იმხანად მოღვაწე ვერც ერთმა შემოქმედმა ვერ დააღწია თავი.

და მაინც, ამისდა მიუხედავად, ლ. ასათიანის იმდროინდელ პოეზიაში ისეთმა პოეტურმა მოტივებმაც გაიჟღერეს იმთავითვე, რომელთა აზრობრივი სულისკვეთება და მიზანსწრაფვა აშკარად ეწინააღმდეგება ხელისუფლების მიერ დამკვიდრებულ იდეოლოგიურ პრინციპებს. აქ, პირველ ყოვლისა, იმ ლექსებს ვგულისხმობ, რომლებშიც პოეტის პატრიოტული გრძნობებია გამჟღავნებული. საქართველოს განმადიდებელი ეს მგზნებარე პოეტური ქმნილებანი აშკარად ამოვარდნილია იმჟამინდელი იდეოლოგიური ნორმატივებიდან და მათი პათოსი და სულისკვეთება სრულიად არ შეესაბამება სახელისუფლებო მოთხოვნებს.

ეს რომ ნამდვილად ასეა, ამაზე ეს კონკრეტული შემთხვევაც ნათლად მეტყველებს: 1937 წელს ქუთაისის საქალაქო გაზეთში ლ. ასათიანის "სამშობლო" დაიბეჭდა. ახალგაზრდა პოეტის პატრიოტული ლირიკის ეს შესანიშნავი და დღეს უკვე ფართოდ პოპულარული ნიმუში მკაცრი კრიტიკული განსჯის საგნად იქცა. იმავე წელს ქუთაისში გამართულ მწერალთა და ჟურნალისტთა საერთო კრებაზე თბილისიდან ჩამოსულმა მომხსენებელმა ბესარიონ ჟღენტმაც და სიტყვაში გამოსულებმაც ლადო ასათიანის აღნიშნული ლექსი ნაციონალისტური ხასიათის ნაწარმოებად მიიჩნიეს.

აი, რას წერს ყოველივე ამასთან დაკავშირებით ამ კრების უშუალო დამსწრე მიხეილ ალავიძე: "ბესარიონ ჟღენტმა ლადო ასათიანის "სამშობლო" ნაციონალისტურ ლექსად შეაფასა. ჯიჯგნა და ჯიჯგნა ყოველი სტრიქონი. მან ლექსი თავიდან ბოლომდე წაიკითხა ზერელედ, დუნედ, ხელოვნური ტონით და დამცირებით. ახლაც ყურში ჩამესმის ენამოჩლექილი ახალგაზრდა ორატორის ბგერები, მწარე ქირქილი" (ალავიძე 1996).

ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ დიდი დარტყმაც იქნებოდა ახალბედა ავტორისათვის ცნობილი კრიტიკოსის მიერ წაყენებული ეს ბრალდება. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ეს ყველაფერი 1937 წელს ხდებოდა - სისხლიანი პოლიტიკური რეპრესიების საბედისწეროდ აღზევების ჟამს. იმხანად მომხსენებელთან შეკამათებას არა

თუ აზრი არ ჰქონდა, არამედ ამას შეიძლებოდა კიდევ უფრო გაემწვავებინა მდგომარეობა. ამიტომაც უსამართლობით გულნატკენმა ლადომ, რომელიც კრებას ესწრებოდა, თავისი პროტესტი იმითღა გამოხატა, რომ დამცირებულმა და შეურცხყოფილმა უსიტყვოდ დატოვა დარბაზი.

რაც უფრო იზრდებოდა ლადოს პოპულარობა, შესაბამისად ძლიერდებოდა მისი მოწინააღმდეგეების აგრესიულობაც. მწერალთა კავშირში გამართულ სხვადასხვა სახის თავყრილობებზეც და პრესაშიც უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა პოეტის მისამართით გამოთქმული ისეთი შენიშვნები, რომლებიც პროფესიული ლიტერატურული შეფასებებისაგან შორს იდგა და ფაქტობრივად ხელისუფლების წინაშე ავტორის პოლიტიკურ დასმენას წარმოადგენდა. ასე მოინათლა იგი თანმედროვეობისაგან განმდგარ იმ შემოქმედად, რომლის პოეზიაში თითქოსდა იდეური სიღარიბე და ნაციონალიზმი იყო გაბატონებული.

აი, რას იგონებს ყოველივე ამასთან დაკავშირებით ლადო ასათიანის მეგობარი მწერალი ვახტანგ ჭელიძე: ყველგან, ყველა კრებასა თუ პლენუმზე, მწერალთა კავშირშიც და კავშირის გარეთაც, მუდამ ლადოზე იყო ლაპარაკი. სალიტერატურო პრესაშიც გამოჩნდა წერილები - ასევე მკაცრი და უსამართლო. "ზედიზედ აკრიტიკებდნენ მის საუკეთესო ლექსებს, როგორც არაჯანსაღი განწყობილების გამომხატველებს, აკრიტიკებდნენ, რომ ის სიყვარულზე წერს. ასე გაუკრიტიკეს მშვენიერი ლექსი "ალბომიდან", როგორც დეკადენტური მიმართულების გავლენით დაწერილი. აკრიტიკებენ მის ერთერთ შედევრს "ცაგერის ბაზრობას", როგორც სინამდვილიდან განდგომისა და ისტორიაში გადასვლის ნიმუშს. აკრიტიკებდნენ მის შესანიშნავ ლექსებს ფიროსმანზე, მის "კოლხიდას"... თითქოს მისთვის მოიცალა კრიტიკამ, მდგომარეობა მეტისმეტად დაიძაბა. პოეტს მოსთხოვეს საჯაროდ ეღიარებინა თავისი "შეცდომები". რა გულისმომკვლელი იყო ეს სიტყვა:

"...მე ვგრძნობ ჩემი ზოგიერთი ლექსის იდეურ სიღარიბეს, იდეურ ჩამორჩენილობას... გამოვედევნე რა სასიყვარულო განცდებს, წმინდა ადამიანური განწყობილებების გადმოცემას, სჩანს დავივიწყე ნამდვილი სოციალური მოტივი. გავყევი რა პირად განცდებს, დავივიწყე მისი განზოგადების აუცილებლობა..." (ჭელიძე 1987: 129).

როგორც ითქვა, შემოქმედებითი მოღვაწეობის მთელ პერიოდში ლ. ასათიანმა ამა თუ იმ აქტუალური მოვლენებისადმი მიძღვანილი იდეოლოგი-

ზებული ლექსებიც შექმნა და გამოაქვეყნა. ამ ტენდენციამ განსაკუთრებული ძალით თავი მაინც პოეტური მოღვაწეობის საწყის ეტაპზე იჩინა. ამ საყოველდღიურო ლექსებში სუსტად გამოვლინდა ახალგაზრდა პოეტის დიდი შემოქმედებითი ენერგია და ლიტერატურული შესაძლებლობანი. ეს თავად პოეტმაც კარგად იცოდა, მაგრამ იგი იძულებული იყო, ქვეყნად დამკვიდრებული ვითარებიდან გამომდინარე, დროდადრო, როგორც თავადვე ამბობს, ამგვარი "საკალენდრო ლექსებიც" ეწერა.

ერთ-ერთ ლექსში ლადო ასათიანმა თავის თავს "სხვა დროის კაცი" უწოდა. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიური ცხოვრების ჭირვარამში აქტიურად ჩართული პოეტი კონკრეტულ დროსა და ეპოქაში ცხოვრობდა, იგი მართლაც "სხვა დროის კაცი" იყო, ყოფით ყოველდღიურობასა და წარმავლობაზე ამაღლებული ბაჯაღლო პოეტი, რომელიც განგებამ იმიტომ მოავლინა ქვეყანაზე, რომ მომავალ თაობათათვის სამუდამო სულიერ განძად დაეტოვებინა თავისი ყველაზე დიდი ქონება - "ადრე წასული კაცის ფიქრები".

ლიტერატურა:

ალავიძე 1988: ალავიძე მ. „რას მეტყველებენ დოკუმენტები". გაზ: "ქუთაისი", 13 იანვარი, 1988.

ალავიძე 1996: ალავიძე მ. „მოკვდა თუ არა, ყველამ აცხონა." როგორ დაიბეჭდა ლ. ასათიანის "სამშობლო" 1937 წელს. გაზ. „ქუთაისი", 11 აპრილი, 1996.

ასათიანი 1937: ასათიანი ლ. „სიმღერა ლავრენტი ბერიაზე". გაზ. „სტალინელი," 17 მაისი, 1937.

ასათიანი 1979 ასათიანი ლ. ერთტომეული, თბილისი: „საბჭოთა საქართველო", 1979.

ასათიანი 1973: ასათიანი მ. „პოეტის წერილები". იხ: გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი," 27 ნოემბერი, 1973.

ასათიანი 1987: ასათიანი ნ. „ასე იტყვიან ჩემზე". ქუთაისი: „საბჭოთა საქართველო" , 1987.

ბრძანებათა წიგნი 1938: აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბრძანებათა წიგნი, საქაღალდე 97, საარქივო ¹ 118, 1938 წლის ათი იანვარი, ბრძანება ¹6.

ქურიძე 1985: ქურიძე შ. „ჭაბუკი იყო, ქარბუქი იყო“. ბათუმი: „საბჭოთა აჭარა” 1985.

ჭელიძე 1987: ჭელიძე ვ. „ჩვენი ლადო ასათიანი“. ჟურნ. “მნათობი”, თბილისი, #12, 1987.

ჯალიაშვილი 1990: ჯალიაშვილი მ. „გაყვითლებული ფოლიანტები“. იხ: გაზ. “ქუთაისი,” 5 დეკემბერი, 1990.